თავი 8 სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობა

სარჩევი

8 სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობა....8-1
8.1 შესავალი....8-1
8.1.1 მიდგომა.... 8-1
8.1.2 მონაცემების შეგროვება.... 8-2
8.2 ეროვნული კონტექსტი....8-3
8.2.1 მონაცემები: ხარისხთან დაკავშირებული საკითხები.... 8-3
8.2.2 ეროვნული კონტექსტი.... 8-4
8.2.3 უსაფრთხოების მიმოხილვა.... 8-5
8.2.4 ეროვნული ეკონომიკა.... 8-5
8.2.5 ტრანსპორტის სექტორი.... 8-6
8.2.6 დემოგრაფიული მახასიათებლები.... 8-7
8.2.7 ეთნიკური წარმომავლობა/ეროვნება.... 8-9
8.2.8 შემოსავალი და სიღარიბის მაჩვენებლები.... 8-9
8.2.9 დასაქმება და საარსებო წყაროები.... 8-11
8.2.10 სქესი.... 8-12
8.2.11 მოწყვლადი ჯგუფები.... 8-13
8.3 ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების სოციო-ეკონომიკური მაჩვენებლები....8-13
8.3.1 შესავალი და შეჯამება.... 8-13
8.3.2 მოსახლეობა და საცხოვრებელი პირობები.... 8-14
8.3.3 საარსებო წყაროები და ბუნებრივი რესურსების გამოყენება.... 8-15
8.3.4 დასაქმება.... 8-16
8.3.5 შემოსავლები.... 8-17
8.3.6 ინფრასტრუქტურა და კომუნალური მომსახურება.... 8-18
8.3.7 ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების პრობლემები.... 8-23
8.4 პროექტის ტერიტორიაზე არსებული სენსიტიური რეცეპტორები....8-24

ცხრილები

ცხრილი 8-1: ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (PAC-ები).... 8-3
ცხრილი 8-2: მთლიანი შიდა პროდუქტის ძირითადი დარგობრივი მონაწილეები, 2014 წ.... 8-5
ცხრილი 8-3: მოსახლეობა ქალაქის და სოფლის ტიპის დასახლებებში, 2009–2015 წწ. (ათასი).... 8-8
ცხრილი 8-4: მოსახლეობა დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილების პროექტის რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში.... 8-8
ცხრილი 8-5: შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლის განაწილება, 2006–2014 წწ.... 8-9
ცხრილი 8-6: მამაკაცისა და ქალის საშუალო თვიური შემოსავალი შერჩეულ წლებში, 2012–2015 წწ.... 8-12
ცხრილი 8-7: თვითდასააქმებულთა პროცენტული განაწილება, 2016 წ.... 8-16
ცხრილი 8-8: სოციალური რეცეპტორები.... 8-25

სურათები

სურათი 8-1: ინფლაციის მაჩვენებელი 2010 – 2016 წწ. 8-6
სურათი 8-2: რეგისტრირებული სიღარიბის დონეების ცვლილება 2007-2014 წლებში..... 8-11
სურათი 8-3: მოსახლეობა, 2016 წ. 8-14
სურათი 8-4: სოფლის მეურნეობაში ჩართული მოსახლეობის განაწილება, 2016 წ..... 8-15
სურათი 8-5: საშუალო თვიური შემოსავალი (ლარი/თვე) საქმიანობის ტიპის მიხედვით..... 8-17
სურათი 8-6: სახლის პირობებში კომუნალურ მომსახურებაზე წვდომა - ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების პროცენტული განაწილება, 2016 წ. 8-19
სურათი 8-7: ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების პროცენტული განაწილება, სადაც აღინიშნა კომუნალური მომსახურების მიღების შეფერხებები..... 8-20
სურათი 8-8: ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების პროცენტული განაწილება, სადაც სოციალური დაწესებულებები ხელმისაწვდომია სოფლის დონეზე, 2016 წ. 8-21
სურათი 8-9: ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების პროცენტული განაწილება, რომელთათვისაც სოციალური დაწესებულებები ხელმისაწვდომია სოფელში ან სოფლის მახლობლად, 2016 წ. 8-22
სურათი 8-10: ახლად აშენებული სოციალური დაწესებულებების რაოდენობა, 2016 წ. 8-23
სურათი 8-11: ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების პრობლემები, 2016 წ. 8-24

8 სოციალურ-ეკონომიკური გარემოს ფონური მდგომარეობა

8.1 შესავალი

8.1.1 მიდგომა

წინამდებარე თავში წარმოდგენილია ინფორმაცია დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილების პროექტის ახლოს მდებარე ტერიტორიებზე ამჟამად არსებული სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ (ან იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც მომავალში შესაძლოა მოხდეს). ფონური მდგომარეობის კვლევის მიზანია:

- ამჟამინდელი მდგომარეობისა და ტენდენციების აღწერა
- მთავარი საკითხების იდენტიფიცირება და შეფასება
- პროექტის შესაძლო სოციო-ეკონომიკური ზემოქმედების განსაზღვრისა და შეფასების შესაძლებლობა
- დახმარება ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრაში, რომელთა მიზანია უარყოფითი სოციო-ეკონომიკური ზემოქმედების მინიმიზაცია ან აღმოფხვრა.

მონაცემები ეხება ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებს (PAC-ები), რომლებიც მდებარეობს დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტის საქმიანობების ტერიტორიებთან ახლოს, რამდენადაც ზემოქმედებების უმრავლესობა ადგილობრივ დონეზეა მოსალოდნელი. ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები განმარტებულია როგორც დასახლებები, რომლებიც მდებარეობს ქვემოთ მოცემულ ტერიტორებზე (ან იჭრებიან ამ ტერიტორიებში):

- სამშენებლო დერეფნის 2კმ რადიუსში
- შემოთავაზებული მისასვლელი გზებიდან 500მ რადიუსში.

თუმცა მონაცემების ძირითადი ნაწილი ეხება ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებებს, ქვემოთ ასევე წარმოდგენილია ეროვნული დონის მონაცემები საქართველოს შესახებ, ერთიანი კონტექსტის გასაგებად და იმ მიზნით, რომ მოხდეს:

- ამ დონეების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) პროგნოზირება, აღწერა და შეფასება
- სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შედარება. მაგალითად, კონკრეტულ ადგილას მცხოვრები მოსახლეობის სიღარიბის დონის შესახებ ინფორმაციის მოპოვება სასარგებლოა, მაგრამ უკეთესია, როდესაც არსებობს ინფორმაცია სხვა ადგილებში მცხოვრები მოსახლეობის (ქვეყნის ან ადგილობრი დონეზე) სიღარიბის დონის შესახებაც; აღნიშნული ინფორმაციის სავფუძველზე შესაძლებელია, განისაზღვროს რამდენად მაღალი ან დაბალია სიღარიბის დონეები სხვა ადგილებთან შედარებით. აღნიშნული ინფორმაცია ასევე სასარგებლოა ზემოქმედების მარეგულირებელი ღონისძიებების იდენტიფიცირებისათვის (მათ შორის, სარგებლის გაძლიერების), რადგანაც

ყურადღება შესაძლოა გამახვილდეს უარყოფით სოციო-ეკონომიკურ ზემოქმედებებზე ყველაზე ღარიბ ადგილებში.

შესაძლებლობების ფარგლებში, მონაცემები შეგროვდა არა მხოლოდ არსებული მდგომარეობის აღსაწერად, არამედ არსებული ტენდენციების იდენტიფიცირებისათვის. აღსანიშნავია, რომ პროექტისათვის საინტერესო ადმინისტრაციული ერთეულებისგან ვერ მოხერხდა სასურველი ინფორმაციის სრულად მოპოვება.

8.1.2 მონაცემების შეგროვება

მონაცემები შეგროვდა კამერალური შესწავლის, საველე კვლევებისა და ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების ლიდერებთან ინტერვიუების მეშვეობით. კვლევებში არ ყოფილა ჩართული დასახლებები, რომლებიც არ ხვდება ზემოთხსენებულ საზღვრებში, რადგან აღნიშნულ დასახლებებს არ შეეხება პროექტით გამოწვეული რაიმე სახის ზემოქმედება; ასევე, აღნიშნული დასახლებებში არ ჩატარდა კვლევები, რათა მოსახლეობას არ გასჩენოდა რაიმე მოლოდინი მონაცემების შეგროვების პროცესის გამო.

კამერალური შესწავლა (მეორადი მონაცემების შეგროვება)

კამერალური შესწავლა ჩატარდა ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე (PAC-ების დემოგრაფიული მაჩვენებლები). მოსახლეობის შესახებ ინფორმაცია, სქესისა და ეთნიკური წარმოშობის შესახებ მონაცემების ჩათვლით, მოწოდებულ იქნა საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მიერ.

სოციალური კვლევები (პირველადი მონაცემების შეგროვება)

აღნიშნული კვლევები ორი ძირითადი კომპონენტისაგან შედგებოდა:

1. ინტერვიუები (წინასწარ მომზადებული ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით) ყოველი PAC-ის აღიარებულ ლიდერთან. ინტერვიუ ძირითადად ფოკუსირებული იყო PAC-ების სოციო-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. აღნიშნული მიდგომით ინფორმაციის შეგროვება ეყრდნობა PAC-ის ლიდერის ცოდნას არამარტო მოსახლეობის ცხოვრების დონისა და არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ, არამედ ტენდენციების და მათი ძირითადი მახასიათებლების მისეულ აღქმას. PAC-ების ლიდერები წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი კითხვარში არსებული საკითხების შესახებ, რაც მათ საშუალებას აძლევდა მომზადებულიყვნენ ინტერვიუსათვის.
2. სოციალური რეცეპტორების დეტალური ვიზუალური კვლევა სავარაუდო მისასვლელი გზების გასწვრივ (მაგალითად, სკოლები, საავადმყოფოები, სასაფლაოები).

PAC-ების სრული სია მილსადენის მონაკვეთის ან შესაბამისი მისასვლელი გზის მითითებით, რომელთა გამოც დასახლება განისაზღვრა როგორც PAC მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 8-1).

ცხრილი 8-1: ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები (PAC-ები)

რეგიონი/ ქალაქი	რაიონი/ქალაქი	ტერიტორიული ორგანო	ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები	უახლოესი მონაკვეთი (ან მისასვლელი გზა)
თბილისი	თბილისი	გლდანი	სოფელი გლდანი	RR-001 და AR-ები
			გლდანულა	RR-001 და AR-ები
			ავჭალა 2	RR-001 და AR-ები
მცხეთა-მთიანეთი	მცხეთა	ცხვარიჭამია	მამკოდა	RR-001 და ARs
იმერეთი	საჩხერე	ქორბოული	შომახეთი	AR - PRS1
			კორბოული	AR - PRS1
	ჭიათურა	მანდაეთი	მადაეთი	AR 223
			ტყემლოვანა	RR-004a
		სვერი	სვერი	RR-004a
		ნიგოზეთი	წყლაშავი	AR - PRS1
			უსახელო	AR - PRS1
			ზედა ბერეთისა	AR - PRS1
გურია	ლანჩხუთი	სუფსა	ხიდმაღალა	სუფსას კვეთა
			გრიგოლეთი	სუფსას კვეთა
		ღრმაღელე	წყალწმინდა	სუფსას კვეთა

8.2 ეროვნული კონტექსტი

8.2.1 მონაცემები: ხარისხთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში არსებული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ უახლესი და სრული ოფიციალური მონაცემების მიღება რთულია; ასევე გასათვალისწინებელია მიღებული მონაცემების სანდოობის ხარისხიც. თუმცა, ითვლება, რომ საქართველოში მდგომარეობა სწრაფად უმჯობესდება. საქართველომ საბჭოთა კავშირიდან გამოსვლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მნიშვნელოვანი სოციო-პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური ცვლილებები განიცადა. პოლიტიკურმა და ინსტიტუციურმა ცვლილებებმა (მათ შორის ადგილობრივი და შეიაღაღებული ეთნიკური კონფლიქტები) უარყოფითი გავლენა იქონია მონაცემების ხელმისაწვდომ ფორმატში შეგროვებაზე, ანალიზსა და ორგანიზებაზე. მონაცემები გარკვეულ თემებზე არსებობს, თუმცა არასდროს განხორციელებულა მათი ანალიზი. უკანასკნელი საყოველთაო მოსახლეობის აღწერა 2014 წელს ჩატარდა, თუმცა 2016 წლის თებერვლისათვის მხოლოდ აღწერის წინასწარი მონაცემებია გამოქვეყნებული. ანგარიშის ფარგლებში გამოყენებულია 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემები იმ შემთხვევში თუ უახლესი მონაცემები ჯერ არ არის ხელმისაწვდომი,

გამოყენებულია ინფორმაციის შემდეგი წყაროები:

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მასალა http://www.geostat.ge/index.php?lang=eng

- საერთაშორისო სააგენტოების (გაერთიანებული ერების, მაგალითად UNDP-ის) და მრავალმხრივი ბანკების (მაგალითად, მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) მიერ მომზადებული ანგარიშებისა და სხვა მსგავსი მასალების მოპოვება და განხილვა
- საქართველოს მთავრობის მიერ მომზადებული ანგარიშებისა და სხვა მსგავსი მასალების მოპოვება და განხილვა
- დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების და WREP პროექტის სამოქმედო არეალში განხორციელებული საკვლევი ვიზიტების შედეგად მიღებული ინფორმაცია
- PAC-ების ლიდერებთან ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუების ჩატარება.

8.2.2 ეროვნული კონტექსტი

საქართველო არის პატარა, სტრატეგიული ადგილმდებარეობის მქონე ქვეყანა კავკასიაში. ის ხასიათდება მრავალფეროვანი ლანშაფტითა და მდიდარი ბუნებრივი რესურსებით, როგორებიცაა მაგალითად წყლისა და მინერალური რესურსების მარაგი. გაერთიანებული ერების მიერ საქართველოს მინიჭებული აქვს ქვედა საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნის სტატუსი.[1].

საბჭოთა სოციალისტური საქართველო ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ერთერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანა იყო. საქართველოს ეკონომიკაზე დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ შექმნილმა პოლიტიკურმა არეულობამ კატასტროფული გავლენა იქონია. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) კუმულაციური შემცირება 1990, 1994-სა და 1996 წლის ბოლოს დაახლოებით 70% უტოლდებოდა, საქართველოს ეკონომიკა 1989 წელთან შედარებით დაახლოებით ერთი მესამედით შემცირდა.

ახალმა მთავრობამ, რომელიც ხელისუფლებაში 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ მოვიდა, ინიცირება გაუკეთა მნიშვნელოვან რეფორმებს, რათა ქვეყანას ორიენტაცია აეღო პრივატიზაციისაკენ, ღია ბაზრებისაკენ და შემცირებული რეგულაციებისაკენ, ამავე დროს ებრძოდა კორუფციასა და ცდილობდა როგორც ეკონომიკის ასევე ბიუჯეტის დასტაბილურებას.

საქართველოს ნაყოფიერი მიწითა და ხელსაყრელი კლიმატური პირობებით სოფლის მეურნეობის მდიდარი ტრადიცია აქვს. მე-20 საუკუნის ბოლოს სოფლის მეურნეობამ დიდი წვლილი შეიტანა მთლიანი შიდა პროდუქტის შექმნაში (32% - 1993 წელს). თუმცა, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ორი ძირითადი ტიპის კოლექტიური ფერმის დაშლამ და პრივატიზაციამ *(კოლხოზები* და *ზავხოზები)* და მიწის სოფლის ტიპის დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობისათვის დარიგებამ გამოიწვია არაკომერციული დანიშნულების მქონე სოფლის მეურნეობის ჩამოყალიბება, განსაკუთრებით მინდვრის კულტურების კუთხით, რადგან განაწილებული მიწა აღმოჩნდა მცირე და ფრაგმენტირებული. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა და ასევე უკანასკნელ პერიოდში საქართველოსათვის რუსეთის ფედერაციის მთავარი ბაზრების ჩაკეტვამ გამოიწვია

[1] იხილეთ მსოფლიო ბანკი: http://data.worldbank.org/about/country-classifications/country-and-lending-groups#Lower_middle_income. მსოფლიო ბანკის მიხედვით ქვედა საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნების ეკონომიკა $1,046-დან $4,125 -მდე მერყეობს)

საარსებო სოფლის მეურნეობის გაჩენა, რომელმაც 2014 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის 9,3% შეადგინა: http://www.geostat.ge, თებერვალი, 2016.

8.2.3 უსაფრთხოების მიმოხილვა

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს კონფლიქტმა დაახლოებით 158,000 ადამიანის ადგილმონაცვლეობა გამოიწვია. საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგაც რუსეთის ჯარი დისლოცირებულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. ვითარება სტაბილურია იმ არეალში, რომელიც პირდაპირ ესაზღვრება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონას (კასპის, გორის, ხაშურის და საჩხერეს მუნიციპალიტეტები), თუმცა მაინც არსებობს ადგილობრივად კონფლიქტის ესკალაციის ფარული საფრთხე.

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენი სექციური ცვლილების პროექტი არ მდებარეობს კონფლიქტის ზონასთან ახლოს.

8.2.4 ეროვნული ეკონომიკა

საქართველოს ეკონომიკის უახლეს პერიოდში მიღწეულ წარმატებებს შორის უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ზრდა მნიშვნელოვანი წარმატებაა. ზრდა არ ფიქსირდება 2008-2009 წლებში, რადგან ამ პერიოდში რუსეთის ფედერაციასთან არსებულმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა და ომის შემდგომმა პერიოდმა ნეგატიური გავლენა იქონია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე. თუმცა, მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუჯობესდა 2010 წელს (6,4%) და ზრდა ანალოგიური მაჩვენებლით გაგრძელდა 2011 წლიდან 2014 წლამდე, ყველაზე მაღალი მაჩვენებლით 2011 წელს 7,2% და ყველაზე დაბალი მაჩვენებლით 2013 წელს 3,4% დაფიქსირდა. მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი 2014 წელს (2014 წლის მონაცემი არის უახლესი ხელმისაწვდომი მონაცემი) 4,6%. მშპ ერთ სულ მოსახლეზე იმეორებს მშპს ზრდის ტენდენციებს - 2014 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 3,670 აშშ დოლარი, ეს უკანასკნელი 2010 წელს 1,000 აშშ დოლარს შეადგენდა. (ჯეოსტატის ვებ-გვერდი: http://www.geostat.ge/index.php?action=0&lang=eng).

ქვემოთ მოცემულია მშპ-სა და დასაქმებაში ყველაზე დიდი წონის მქონე დარგები (იხ. ცხრილი 8-2). მომუშავეთა რაოდენობა დარგების მიხედვით ასახავს მშპ-ს მნიშვნელოვან დარგებს, გარდა სოფლის მეურნეობისა. უკანასკნელი შესაძლოა აიხსნას იმით, რომ სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი არის თვით-დასაქმებული გლეხების მიერ გენერირებული, რომელთათვისაც საკვების წარმოება მეორადი საქმიანობაა.

ცხრილი 8-2: მთლიანი შიდა პროდუქტის ძირითადი დარგობრივი მონაწილეები, 2014 წ.

დარგი	% წილი მშპ -ში	დასაქმებულთა რაოდენობა დარგების მიხედვით
ვაჭრობა	17.5	21.9%
მრეწველობა	16.9	20.0%
ტრასპორტი და კავშირგაბმულობა	10.4	10.3%
სახელმწიფო მმართველობა	9.9	8.6%
სოფლის მეურნეობა	9.3	2.0%
მშენებლობა	7	11.7%

დარგი	% წილი მშპ -ში	დასაქმებულთა რაოდენობა დარგების მიხედვით
ჯანდაცვა და სოციალური დახმარება	6	10.2%
უძრავი ქონება	6	10.1%
სხვა	16.9	5.3%

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2015 წ.

უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ინფლაციის მაჩვენებლები მკვეთრად მერყეობდა. დროის მოკლე მონაკვეთებში მკვეთრად იზრდებოდა და ეცემოდა, რაც გარკვეულწილად ძლიერი ეკონომიკური შოკების მიერ იყო გამოწვეული. ქვემოთ მოცემულია ინფლაციის მაჩვენებელი (საკვები პროდუქტების, არა-ალკოჰოლური სასმელებისა, ენერგიის, რეგულირებადი ტარიფებისა და ტრანსპორტის გარდა) (იხ. სურათი 8-1).

საბაზისო ინფლაცია საქართველოში
(პროცენტული ცვლილება წინა წლის იგივე თვესთან შედარებით)



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016 წ.

სურათი 8-1: ინფლაციის მაჩვენებელი 2010 – 2016 წწ.

ინფლაციის მაჩვენებლების ცვლილებამ მწვავე პრობლემები შეუქმნა ფიქსირებული შემოსავლის მქონე პირებს (რომელთაც შემოსავლების გაზრდის მცირე შანსები აქვთ), როგორებიც არიან მაგალითად პენსიონერები, ადამიანები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან საზღვარგარეთიდან მიღებულ ფულად გადარიცხვებზე და რომლებსაც დაბალი ხელფასი აქვთ. ასეთი ადამიანების შემოსავლები არ იყო ინფლაციის მაჩვენებლებთან თანხვედრაში, ამ უკანასკნელმა კი შეამცირა მათი მსყიდველუნარიანობა და ცხოვრების დონე. სოფლის ტიპის დასახლების მაცხოვრებელები, მიუხედავად საარსებო სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მაღალი მაჩვენებლისა, განსაკუთრებით დაზარალდნენ ინფლაციის შედეგად.

8.2.5 ტრანსპორტის სექტორი

ტრანსპორტის ქვესექტორი (რომელიც წარმოადგენს სერვისის სექტორის ნაწილს) ქართული ეკონომიკის ყველაზე სწრაფად მზარდ დარგს წარმოადგენს. ტრანსპორტის, დასაწყობების და კავშირგაბმულობის მომსახურებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მათ მიერ შეტანილი წვლილი მშპ-ს წარმოებაში; აღნიშნული დარგის წვლილი 1996 წელს 4,8%-დან 2014 წელს 10,4%-მდე გაიზარდა. ზრდის მიზეზად მოიაზრება კავკასიაში

ზოგადად ეკონომოკური აღმავლობა და საქართველო ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. გზა წარმოადგენს პრივილიგერებულ გადასაადგილებელ საშუალებას ადამიანებისა და არა ნავთობის ტიპის ტვირთისათვის (მსოფლი ბანკი, 2008). მილსადენები არის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ყველაზე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო საშუალებები.

მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული ანგარიშის 'საქართველოს სოფლის ინფრასტრუქტურა" თანახმად, საგზაო სატრანსპორტო უბედური შემთხვევების მაჩვენებელი საქართველოში 2006 წელს 10 000 სატრანსპორტო საშუალებაზე 13 იყო, აღნიშნული მაჩვენებლი შედარებით მაღალი იყო სამხრეთ ევროპის ქვეყნების უმეტესობასთან შედარებით და მნიშვნელოვნად მაღალი ევროპის ქვეყნების მაჩვენებელთან შედარებით, ეს უკანასკნელი 10 000 სატრანსპორტო საშუალებაზე 2-ს უდრის. წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 16%-ით, ხოლო დაზიანებების მაჩვენებელი 28%-ით გაიზარდა. ემოციური ტკივილის გარდა, სატრანსპორტო საშალებებით გამოწვეულ უბედურ შემთხვევები პირდაპირ აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზეც. მსოფლიო ბანკის სამუშაო დოკუმენტის „საგზაო უსაფრთხოება აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის ქვეყნებისათვის' (მსოფლიო ბანკი, 1999) მიხედვით საგზაო შემთხვევების მიერ გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური ხარჯები საქართველოსთვის მშპ-ს დაახლოებით 1,1% შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ (საგზაო) გაუმჯობესებას ნაკლებად სავარაუდოა, რომ სურათი შეცვლილიყო უკანასკნელი წლების მანძილზე, რადგან მკვეთრად გაიზარდა მანქანების ფლობის მაჩვენებელი.

აღმოსავლეთ-დასავლეთის გზატკეცილი საქართველოსათვის ძირითად გზას წარმოადგენს, აღნიშნული გზის მეშვეობით შესაძლებელი გახდება მილსადენის სამშენებლო უბნებზე მისვლა. გზატკეცილზე და ასევე დამატებით ორ-სავალ ნაწილიან მონაკვეთებზე RR-001 და RR-004a შორის ამჟამად მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დიდი დასახლებების მიღმა, PAC-ებში უმეტესობაში გზები მოუპირკეთებელია და ძირითადად ცუდ მდგომარეობაშია. გზებზე სწრაფად ჩნდება ორმოები, განსაკუთრებით ძლიერი წვიმების შემდეგ, ტროტუარები ნაკლებად არის გამოყოფილი გზის სავალი ნაწილიდან ან საერთოდ არ არსებობს. PAC-ებისათვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა გზების ცუდი მდგომარეობაა (იხილეთ PAC-ების აღწერა ქვემოთ და სურათი 8-11).

8.2.6 დემოგრაფიული მახასიათებლები

2015 წელს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვრობამ დაახლოებით 3.7 მილიონი ადამიანი შეადგინა. აღნიშნული მონაცემი მიღებულია 2014 წელს ჩატარებული საყოველთაო აღწერის შედეგად და მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა წლებში არსებული შეფასებითი მაჩვენებლებისაგან (იხ. ცხრილი 8-3). კლების მიზეზებს შორის შესაძლოა იყოს მოსახლოების მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ სამუშაოს ძიება, თუმცა შესაძლოა ასევე ასახავდეს იყოს 2002 წლის საყოველთაო აღწერის შემდეგ გაკეთებული შეფასებების დროს დაშვებულ უზუსტობებს.

ცხრილი 8-3: მოსახლეობა ქალაქის და სოფლის ტიპის დასახლებებში, 2009–2015 წწ. (ათასი)

მაჩვენებელი	წელი						
	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
მოსახლეობა წლის დასაწყისში	4 385.4	4 436.4	4 469.2	4 497.6	4 483.8	4 490.5	3 729.5
ქალაქად	2 309.1	2 350.5	2 371.3	2 391.7	2 410.8	2 411.7	2 140.4
სოფლად	2 076.3	2 085.9	2 097.9	2 105.9	2 073.0	2 078.8	1 589.1

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016 წ.

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლოებასთან შედარებით მკვეთრად შემცირდა 2005 წლიდან (47,8%) 2015 წლამდე (4,6%). აღნიშნული მონაცემები სავარაუდოდ მიუთითებს მოსახლეობის საქართველოს დიდ ქალაქებში და საზღვარგარეთ მიგრაციის მზარდ მაჩვენებელზე.

მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილება უკანასკნელი 10 წლის მანძილზე განსახვავებულია მუნიციპლიტეტების მიხედვით (იხ. ცხრილი 8-4). თბილისში მოსახლეობის რიცხოვნობამ 3,6%-ით მოიმატა, მაშინ როდესაც სხვა რეგიონებში, სადაც დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილების პროექტი ხორციელდება იგივე მაჩვენებელი შემცირდა და 18,5%-დან (გურია) 23%-მდე (მცხეთა-მთიანეთი) მერყეობს.

ცხრილი 8-4: მოსახლეობა დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილების პროექტის რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში

	მოსახლეობა (ათასი) წლების მიხედვით		
	2005	2015	% ცვლილება
საქართველო	**4,321.5**	**3729.5**	-13.7
თბილისი	**1,079.7**	**1118.3**	3.6
გურიის რეგიონი	**138.7**	**113.1**	-18.5
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	39.0	31.4	-19.5
იმერეთის რეგიონი	**689.0**	**535.7**	-22.2
საჩხერეს მუნიციპალიტეტი	46.2	37.9	-18.0
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	55.2	39.8	-27.9
მცხეთა-მთიანეთის რეგიონი	**122.5**	**94.3**	-23.0
მხცეთის მუნიციპალიტეტი	64.2	55.7	-13.2

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016 წ.

აღნიშნული მოსახლეობა უფრო მეტად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებისაგან შედგება, ტენდენცია შესამჩნევია ყველა ასაკობრივ ჯგუფში 35 წელზე ზემოთ, განსაკუთრებით კი შეინიშნება ხანდაზმულებში.

- 35 -დან 39 წლამდე: მოსახლოების 51% ქალია
- 65 -დან 69 წლამდე: მოსახლეობის 27% ქალია
- 65 წლის ან მეტი: მოსახლეობის 71% ქალია

ოჯახის ზომის შესახებ ინფორმაცია 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით ჯერ არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, როგორც სუმბაძის (2008) მიხედვით, ოჯახები ძირითადად 4 წევრისგან (23,6%) შედგება. 5 წევრიანი ოჯახები შინამეურნეობების 19,2%-ს წარმოადგენს, ხოლო შინამეორნეებების 7,1% ექვსი ან მეტი წევრისაგან შედგება. შესაბამისად, შინამეურნეობების დაახლოებით 50% შედგება 4 ან მეტი წევრისგან.

8.2.7 ეთნიკური წარმომავლობა/ეროვნება

2002 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემების მიხედვით საქართველოში შემდეგი ეთნიკური ჯგუფები ცხოვრობენ: ქართველები 83,8%, აზერბაიჯანელები 6,5%, სომხები 5,7%, რუსები 1,5%, სხვა 2,5% (CIA, 2016[2]). ეთნიკური ჯგუფები არაპროპორციულად ნაწილდება საქართველოს მოსახლეობაში. უფრო მეტიც, ეთნიკური ჯგუფები ძირითადად ეთნიკურად ჰომოგენურ დასახლებებში გვხვდებიან (მაგალითად, ქვეყნის დონეზე ისეთ ადგილებში როგორც არის აფხაზეთი და ადგილობრივ დონეზე სოფლებში ან სოფლის კლასტერებში), რაც თავისმხრივ ხელს უწყობს კულტურული ტრადიციებისა და ენის შენარჩუნებას. მიუხედავად დომინანტური ტენდენციისა არსებობს მრავალი შერეული ტიპის დასახლება, სადაც უმრავლესობას ეთნიკური ქართველები წარმოადგენენ. როდესაც ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ოჯახს ქმნის ეთნიკურ ქართველთან, ითვლება რომ აღნიშნული ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას და თემის გაფართოებას.

8.2.8 შემოსავალი და სიღარიბის მაჩვენებლები

უკანასკნელი 8 წლის მანძილზე შინამეურნეობების საშუალო თვიური შემოსავალი 320,4 ლარიდან (2004 წ.) 983,9 ლარამდე გაიზარდა. ანალოგიურად შეიცვალა ინდივიდუალური პირის საშუალო თვიური შემოსავალი: 84,7 ლარიდან (2004 წ.) 273,1 ლარამდე (2014წ.) შინამეურნეობების შემოსავლებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება ფიქსირდება დასახლების ტიპის მიხედვით (იხ. ცხრილი 8-5).

ცხრილი 8-5: შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლის განაწილება, 2006–2014 წწ.

დასახლების ტიპი	წელი				
	2006	2008	2010	2012	2014
ქალაქად	386.4	603.4	733.8	854.1	1091.8
სოფლად	384.2	477	568.1	723.2	877.2

2006-14 წლების განმავლობაში ზემოთ მოყვანილი ორივე ტიპის შემოსავალი გაიზარდა, თუმცა ქალაქის ტიპის დასახლებებში ზრდის მაჩვენებელი უფრო სწრაფია. ამასთანავე, სოფლის ტიპის დასახლებებში შემოსავლებმა მკვეთრად დაიკლო ქალაქის ტიპის დასახლებებში არსებულ შემოსავლებთან შედარებით - თუ 2006 წელს შემოსავლები თანაბარი იყო (1:1), 2014 წელს ეს თანაფარდობა 0,80:1 გახდა. სოფლის ტიპის დასახლებაში მცხოვრები მოსახლეობა ქალაქის ტიპის მაცხოვრებლებთან შედარებით მეტად არის დამოკიდებული არა-ფულად შემოსავალზე, პენსიებზე და სხვა სოციალურ დახმარებებზე. აღსანიშნავია, რომ სოფლის ტიპის დასახლებების მაცხოვრებელებს მნიშვნელოვნად მაღალი შემოსავალი აქვთ საზღვარგარეთიდან მიღებული დახმარებებიდან, თუმცა აღნიშნული თანაფარდობა 2006 წლიდან 2014 წლამდე 3:1-დან

[2] https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/gg.html

2:1-მდე შემცირდა (ქალაქი:სოფელი). აღნიშნული ტენდენციის ახსნა შესაძლებელია მიგრაციის მაღალი მაჩვენებლით სოფლის ტიპის დასახლებებიდან ქალაქის ტიპის დასახლებებისაკენ.

სიღარიბის დონის შეფასება განსხვავდება წყაროებისა და მაჩვენებლებლების მიხედვით. მსოფლიო ბანკის უკანასკნელი მონაცემები იმ ადამიანების პროცენტული მაჩვენებლის ზოგად კლებას აჩვენებს, ვინც დღეში 1.90$-ზე ნაკლები თანხით ცხოვრობენ, ასევე ნაკლებია იმ მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი, ვინც დღეში 3.10$-ზე ნაკლებით ახერხებს ცხოვრებას. დღეში 1.90$-ზე[3] მცხოვრებთა წილი 2011 წელს 17.8%-დან 2013 წელს 11.5%-მდე შემცირდა. ამის მსგავსად, დღეში 3.10$-ზე[4] მცხოვრებთა წილი 2006-2010 წლებში არსებული 34.6%-დან 2011-2015 წლებში 28.6%-ზე ჩამოვიდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი მთავრობის მიერ მოწოდებული სტატისტიკა განსხვავებულ ციფრებს გვთავაზობს სიღარიბის მაჩვენებლებთან მიმართებაში, სიღარიბის ზრდის ტენდენცია აქაც ფიქსირდება. საქსტატის (2016 წლის) მონაცემები აჩვენებს, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებული 6.4%-დან 11.6%-მდე გაიზარდა 2006-20014 წლებში (იხ. სურათი 8-2). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბის მაჩვენებლის ზრდა 2014 წელს სულ მცირე ნაწილობრივ მაინც არის გამოწვეული მოსახლეობის რიცხოვნობის განახლებული მონაცემების მიღებით 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად. ეს პროცენტული მაჩვენებელი აჩვენებს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებიც მთავრობისგან საარსებო შემწეობას იღებენ, როდესაც შემოსავალი ოფიციალურად დადგენილ საარსებო მინიმუმზე ნაკლებია[5]. ამ შემწეობის მისაღებად პირი ან ოჯახი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ უნდა იყოს. საარსებო მინიმუმი შრომისუნარიანი მამაკაცისთვის არის 164.2 ლარი 2016 წლის იანვრის მონაცემებით (რიცხვი ყოველთვიურად იცვლება, ჩვეულებრივ, მცირედით იმატებს ინფლაციის გათვალისწინებით). ხუთსულიანი ოჯახისათვის საარსებო მინიმუმი 2016 წლის იანვრის მონაცემებით 323.7 ლარს შეადგენს.

[3] იგულისხმება მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დღეში 1.90$-ზე ნაკლები თანხით ახერხებს ცხოვრებას 2011 წლის საერთაშორისოდ დადგენილი ფასების მიხედვით.

[4] იგულისხმება მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დღეში 3.10$-ზე ნაკლები თანხით ახერხებს ცხოვრებას 2011 წლის საერთაშორისოდ დადგენილი ფასების მიხედვით.

[5] 2004 წლის შემეგ, საქსტატი საარსებო მინიმუმის ინდიკატორებს ითვლის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს 2003 წლის 8 მაისს მიღებული N 111/n ბრძანების საფუძველზე, რომელიც ეხება *„საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებს“*.

საარსებო მინიმუმის ბენეფიციარებთა წილი (%)*



*2014 წლის მონაცემები გამოანგარიშებულია 2014 წლის 5 ნოემბერს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის წინასწარი მონაცემები საფუძველზე. 2007-2013 წლების მოსახლეობის რაოდენობის ხელახალი გამოტვლა დაიწყება 2014 წლის მოსახლეობის აღწერის საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ. ამის შემდეგ მოხდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის რაოდენობის ხელახლა გამოთვლა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016 წ.

სურათი 8-2: რეგისტრირებული სიღარიბის დონეების ცვლილება 2007-2014 წლებში

8.2.9 დასაქმება და საარსებო წყაროები

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, უმუშევრობის დონე 12.6%-დან 16-9%-მდე გაიზარდა 2004-2009 წლებში და 16.3%-დან 12.4%-მდე შემცირდა 2010-2014 წლებში (საქსტატი, 2016). თუმცა, იმ ადამიანების წილი, ვინც საკუთარ თავს „უმუშევარს“ უწოდებს 30%-ის ფარგლებშია. ამგვარი განსხვავების ერთერთი მთავარი მიზეზი ის ფაქტია, რომ ოფიციალური სტატისტიკა (და სტატისტიკის ანალიზისა და შედარებისთვის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები) საარსებო სოფლის მეურნეობას დასაქმებად მიიჩნევს, მაგრამ სოფლის მეურნეობაში ჩართული ბევრი ადამიანი ასე არ ფიქრობს. ამასთან ერთად, ოფიციალური უმუშევრობის მაჩვენებელი დიდი წილით შეიცავს ნახევარ განაკვეთიან სამუშაოს (გაერო, 2008), ეს გულისხმობს, რომ ბევრ მოქალაქეს, რომელიც სოფლის მეურნეობაშია თვით-დასაქმებული, შეუძლია სხვა შემოსავლის მომტანი სამუშაოც შეასრულოს, მაგრამ ვერ პოულობს ასეთ სამუშაოს.

უმუშევრობის მაჩვენებლები ადასტურებენ დასაქმების მაჩვენებელს - დასაქმებულთა რიცხვი 2010-2014 წლებში 1,664, 200 დან 1.745,200 მდე გაიზარდა. ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვიც 1,944,900 დან 1,991,100 -მდე გაიზარდა იგივე პერიოდში. უმუშევრობა ახალგაზრდებს არაპროპორციულად ეხება, 15-24 წლის მოქალაქეების 30.8% უმუშევარია, დასაქმებული ქალების რიცხვიც დაბალია

დასაქმებული კაცების რაოდენობასთან შედარებით (10.5% 14%ის წინააღმდეგ) (2014 წლის მონაცემები, ILOSTAT, 2015)[6].

8.2.10 სქესი

უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, 2014 წელს უფრო მეტი კაცი იყო დასაქმებული (66.6%), ვიდრე ქალი (51.1%)[7]. შესაბამისად, ქალებმა მნიშვნელოვნად ნაკლები გამოიმუშავეს, ვიდრე კაცებმა (საშუალოდ ~35%-ით ნაკლები). 2014 წელს, მამაკაცისა და ქალის საშუალო თვიური ხელფასი 980 ლარს და 617.9 ლარს შეადგენდა შესაბამისად. ამავე წელს, „ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის მიწოდების“ სექტორის გარდა, ქალისა და მამაკაცის ხელფასს შორის განსხვავება დაფიქსირდა ყველა სექტორში (იხ. ცხრილი 8-6). თუმცა, ამ ცხრილში კარგად ჩანს, რომ მამაკაცისა და ქალის საშუალო ხელფასს შორის სხვაობა ფიქსირდება სექტორების მიხედვით. 2014 წელს განსხვავება ყველაზე დაბალი იყო ისეთ სექტორებში, როგორებიცაა, განათლება, ჯანდაცვა და სოციალური სამუშაო (სადაც, ჩვეულებრივ, უფრო მეტი ქალი მუშაობს, ვიდრე მამაკაცი), ასევე უფრო ნაკლებად საერთო სექტორებში, როგორებიცაა - სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო საქმე, სამთო მრეწველობა და წიაღისეულის მოპოვება.

ცხრილი 8-6: მამაკაცისა და ქალის საშუალო თვიური შემოსავალი შერჩეულ წლებში, 2012–2015 წწ.

	2012			2013			2014		
	სულ	*მათ შორის:*		სულ	*მათ შორის:*		სულ	*მათ შორის:*	
		ქალი	კაცი		ქალი	კაცი		ქალი	კაცი
სულ	**712.5**	**517.9**	**859.6**	**773.1**	**585.0**	**920.3**	**818.0**	**617.9**	**980.0**
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა	424.6	375.7	438.7	495.0	399.7	517.1	504.3	425.8	526.9
თევზჭერა, მეთევზეობა	388.9	154.0	414.2	587.1	339.0	609.1	503.3	340.5	528.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა	874.5	574.7	910.5	893.1	654.2	923.1	902.8	812.2	913.9
დამამუშავებელი მრეწველობა	623.0	438.5	706.0	683.0	501.9	772.2	714.0	508.2	818.7
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	919.9	892.7	926.0	967.6	995.0	961.3	1039.1	1069.6	1032.3
მშენებლობა	890.8	611.5	908.3	868.2	661.7	884.3	942.8	725.3	961.0
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	650.0	478.7	791.1	692.5	519.5	830.6	702.1	517.2	862.4
სასტუმროები და რესტორნები	397.5	342.2	497.9	437.1	366.6	545.5	477.5	378.3	652.6
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	943.4	759.1	1002.6	1058.6	798.4	1145.5	1074.7	860.7	1145.0
საფინანსო საქმიანობა	1402.3	1153.8	1777.2	1505.8	1170.4	2003.5	1590.3	1167.9	2218.0
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	843.5	655.4	929.3	848.2	766.4	886.7	911.2	756.8	987.5
სახელმწიფო მმართველობა	1031.2	944.2	1062.6	1152.1	1039.9	1193.6	1232.2	1153.1	1262.2
განათლება	355.1	331.7	434.4	422.9	400.2	498.9	456.7	430.1	550.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	599.5	515.3	796.1	667.9	577.6	888.0	741.8	651.7	975.4
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	602.1	481.2	713.6	680.8	561.5	795.3	687.2	576.0	789.8

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016

როგორც ჩანს, ქალებს უფრო მეტად უჭირთ სამუშაოს პოვნა, უფრო ნაკლებს გამოიმუშავებენ და სოციალური მომსახურებების, მაგ. საბავშვო ბაღების ნაკლები ხელმისაწვდომობის გამო უწევთ უსასყიდლოდ მუშაობა. გენდერული უთანასწორობა - ეკონომიკური თვალსაზრისით - მნიშვნელოვნად მაღალია სოფლებსა და პატარა ქალაქებში დიდ ქალაქებთან შედარებით. ხანშიშესული ქალები მეტწილად მარტო ცხოვრობენ, რადგან ზოგადად, მეტხანს ცოცხლობენ, ვიდრე კაცები. სუმბაძის (2008) მიხედვით, ზემოთ აღნიშნული კატეგორიის ქალები ყველა შინამეურნეობის 1.5%-ს შეადგენენ. ქალების რიცხვი მეტია არაფორმალურ სექტორშიც, სადაც ისინი მუშაობენ

[6] http://www.ilo.org/ilostat/faces/home/statisticaldata/ContryProfileId?_afrLoop=24698780226484#%40%3F_afrLoop%3D24698780226484%26_adf.ctrl-state%3Dw1ud4wrlu_171
[7] http://www.geostat.ge/index.php?action=0&lang=eng

წვრილმან მოვაჭრეებად, დამლაგებლებად და ძიძებად. ამ ჯგუფში შემავალი ქალები მნიშვნელოვანი ეკონომიკური არასტაბილურობის წინაშე დგანან და უფრო მოწყვლადები არიან სიღარიბის მიმართ მხრივ, ვიდრე კაცები.

8.2.11 მოწყვლადი ჯგუფები

პენსიონერები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და იძულებით გადაადგილებული პირები მთავარ მოწყვლად ჯგუფებს წარმოადგენენ. საპენსიო ასაკი კაცისთვის 65, ხოლო ქალისთვის - 60 წელია. 2014 წლისთვის, საქართველოს მთავრობის მონაცემებით, საქართველოში 866,200 პენსიონერი იყო (მოსახლეობის 23.22%, თუ ჩავთვლით, რომ მოსახლეობა 3.7 მილიონს შეადგენს)[8]. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და სავარაუდოდ გამოწვეულია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შობადობის მაჩვენებლის შემცირებით (ამჟამად სიტუაცია შეცვლილია) და ახალგაზრდების მზარდი გარე მიგრაციით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისათვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლის მარტისთვის სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღებად დარეგისტრირებული იყო 118, 651 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ეს მთლიანი მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტს შეადგენს, თუმცა მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის გამოთვლით, ეს რიცხვი გლობალურად 10%-ს უტოლდება[9]. მოცემულ მაჩვენებელში არ იგულისხმებიან ის შშმ პირები, რომლებიც მუშაობენ და / ან არ იღებენ სახელმწიფო სოციალურ დახმარებას, შესაბამისად, ეს ნაწილი თითქმის შეფასების გარეშეა დარჩენილი. 2015 წლის ივნისისისთვის, UNHCR-ის მონაცემებით,საქართველოში 265, 267 იძულებით გადაადგილებული პირი ცხოვრობს, რაც მსგავსია 2007 წლის მაჩვენებლისა (222,100) და საგრძნობლად მცირეა 2008 წლის აგვისტოს შემდგომ პერიოდთან შედარებით (359,716 – 2011 წელს). იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა კონფლიქტის ზონებთან ახლოს ცხოვრობს, განსაკუთრებით, გორის მუნიციპალიტეტში, ასევე სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში და თბილისში. ამ ჯგუფში უმუშევრობის უფრო მაღალი დონეა დაფიქსირებული, ხოლო დევნილებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში ეკონომიკური აქტივობის უფრო დაბალი ინდიკატორები ფიქსირდება (საქართველოს მთავრობა, 2007 წელი).

8.3 ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების სოციო-ეკონომიკური მაჩვენებლები

8.3.1 შესავალი და შეჯამება

ქვემოთ მოცემული აღწერა დაფუძნებულია 2016 წელს პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი გასახლებების ლიდერებთან ჩატარებული გამოკითხვების შედეგებზე. კვლევის ფარგლებში თითოეული PAC-ისთვის მომზადებული ინდივიდუალური პროფილი (სულ 15) მოცემულია ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიშში, მე-8 თავი).

ყველა PAC სოფლის ტიპის დასახლებაა, გარდა გლდანულასა და ავჭალა ორის, რომლებიც თბილისის შემოგარენში მდებარეობს. ზეგავლენის PAC-ების მცხოვრებთა

[8] http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=200&lang=eng
[9] https://idfi.ge/en/statistics-of-persons-with-disabilities

რაოდენობა 190-დან (მამკოდა) 6463-მდე (კორბოული) მერყეობს (იხ. სურათი 8-3). ცხრილი 8-1აღწერს PAC-ების ადმინისტრაციულ დაყოფას (რეგიონი, რაიონი/ქალაქი და ტერიტორიული ორგანო).

თბილისის PAC-ების გარდა, სხვა ყველა PAC-ისთვის დამახასიათებელია მაღალი თვით-დასაქმების მაჩვენებელი; თვით-დასაქმება ძირითადად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეხება (ძირითადად ფერმერები ან მესაქონლეები). თბილისის PAC-ების მცხოვრებთა უმეტესობა არა-სასოფლო სამეურნეო სექტორში, სახელმწიფო ან კერძო დაწესებულებაშია დასაქმებული. ასევე, ყველა თბილისის PAC-ის შინამეურნეობები დამოკიდებულნი არიან შემოსავლის სხვადასხვა წყაროებზე, როგორებიცაა მაგალითად პენსიები, სახელმწიფო შემწეობები და დახმარებები.

8.3.2 მოსახლეობა და საცხოვრებელი პირობები

ქვემოთ მოცემულია PAC-ების მოსახლეობის რაოდენობა გლანდულასა და ავჭალას გარდა (ამ ორი დასახლების მაჩვენებლები მოცემული არ არის) (იხ. სურათი 8-3). PAC-ების მცხოვრებთა საშუალო რიცხოვნობა 1,565-ია, ხოლო საშუალო მედიანური მაჩვენებელი - 950 მცხოვრები. ამ ორ მაჩვენებელს შორის დაფიქსირებული დიდი სხვაობა კორბოულის მრავალრიცხოვნობით შეიძლება აიხსნას (6,463 მაცხოვრებელი). PAC-ებს შორის ყველაზე ნაკლებად დასახლებულია მამკოდა (190) და გრიგოლეთი (250).

ზედა ბერეტისას, უსახელოსა და წყალხვავის გარდა, რომელთა ლიდერებმაც შობადობის გაზრდილ მაჩვენებელზე მიუთითეს, ყველა PAC-ში შობადობის მაჩვენებლის კლება შეინიშნება. თბილისში შობადობის მაჩვენებლის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის.

გარე მიგრაცია დამახასიათებელია ყველა დასახლებისათვის გარდა თბილისის PAC-ებისა. PAC-ების ლიდერების განცხადებით, ეს უკანასკნელი ხასიათდება ხალხის შემოდინებით თბილისის სხვა ნაწილებიდან. თუ გლდანსა და გლდანულაში ახალი მშენებლობის მაღალი რიცხვი ამის დადასტურებაა, მაშინ ამ დასახლებებში მოსახლეობის მიგრაცია სავარაუდოდ მიწის ხელმისაწვდომობისა და ცხოვრების უფრო დაბალი ხარჯების (თბილისის სხვა ნაწილებთან შედარებით) გამო ხდება.



სურათი 8-3: მოსახლეობა, 2016 წ.

რაც შეეხება სხვა PAC-ებს - მათი მცხოვრებები თბილისში ან სხვა ქვეყნებში მიდიან საცხოვრებლად. ბათუმი მიგრაციის ადგილია ხიდმაღალას, გრიგოლეთისა და წყალწმინდის მოსახლეობისათვის. გარე მიგრაცია ყველაზე შესამჩნევი მანდაეთსა და ტყემლოვანაშია, სადაც მოსახლეობის დაახლოებით 40%-მა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში საკუთარი სოფელი დატოვა. მიგრაციის მთავარ მიზეზად უმუშევრობის მაღალი დონე სახელდება. გარე მიგრაციის დამადასტურებელი ფაქტია PAC-ებში მიტოვებული სახლების მაღალი რიცხვი. დაფიქსირდა, რომ კორბოულში 300 სახლი, ხოლო სვერში - 100 სახლი მიტოვებულია. ამასთან ერთად, არავინ ცხოვრობს ზედა ბერეთისაში, უსახელოსა და წყალშავში არსებული სახლების 20%-ში.

PAC-ების ლიდერების თანახმად, დასახლებებში არსებული საცხოვრებელი პირობები საშუალო ან საშუალოზე დაბალ სტანდარტს შეესაბამება და სახლების უმეტესობას შეკეთება ჭირდება. სახლები, როგორც წესი, კერძო საკუთრებაშია.

PAC-ებში, ძირითადად ქართულად საუბრობენ. თუმცა, ხიდმაღალას, გრიგოლეთისა და სვერის მოსახლეობა რუსულ ენასაც ფლობს.

8.3.3 საარსებო წყაროები და ბუნებრივი რესურსების გამოყენება

PAC-ების მცხოვრებნი, თბილისის PAC-ების მცხოვრებთა გარდა, მრავალი ტიპის საარსებო სტრატეგიებს მიმართავს. შესაბამისად, მათ მიერ მიღებული შემოსავალი გენერირდება სხვადასხვა წყაროებიდან, როგორიცაა საარსებო მეურნეობა (ძირითადად მეცხოველეობა, თუმცა ასევე ფიქსირდება მიწათმოქმედებაც), ხელფასები, სახელმწიფო პენსიები, სოციალური შემწეობები და დახმარებები. თუმცა PAC-ების მცხოვრებთა 50%-ზე მეტი მისდევს მიწათმოქმედებას ან მეცხოველეობას, შესაბამისად მათ მიერ არჩეული მთავარი საარსებო სტრატეგია საარსებო მეურნეობაა და შემოსავლისა და საკვების მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენს.

როგორც ქვემოთაა მოცემული, PAC-ების 40%-ში ყველა მცხოვრები(100%) მისდევს რაიმე სახის სოფლის მეურნეობას (იხ. სურათი 8-4). მნიშვნელოვანი გასხვავება ფიქსირდება თბილისის PAC-ების შემთხვევაში, სადაც მცირე რაოდენობის ადამიანია (ან საერთოდ არავინ) ჩართული სოფლის მეურნეობაში.



სურათი 8-4: სოფლის მეურნეობაში ჩართული მოსახლეობის განაწილება, 2016 წ.

შომახეთის, კორბოულის, ხიდმაღალას, გრიგოლეთისა და სვერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საარსებო სოფლის მეურნეობა, რადგან აღნიშნული სოფლების მოსახლეობის 80-100% მოიხმარს მათ მიერ მოყვანილ კულტურებს.

მარცვლეული კულტურების მოყვანის გარდა, ტყიდან ხის მასალის მოგროვება საკმაოდ გავრცელებული საქმიანობაა PAC-ებში. როგორც კვლევის მონაცემები აჩვენებს, ზედა ბერეთისას, უსახელოს და წყალშავის მოსახლეობა აგროვებს შეშას გასათბობად. შომახეთის, კორბოულის და მამკოდას მოსახლოების ნაწილიც მისდევს აღნიშნულ საქმიანობას. გლდანულას და ავჭალა ორის მოსახლეობა აგროვებდა შეშას წარსულში, თუმცა ამჟამად აღნიშნულ საქმიანობას აღარ ეწევა, რადგან უნებართვო ხის ჭრა რეგულირდება კანონით.

მანდაეთის, ტყემლოვანასა და მამკოდას მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი კრეფს სოკოს.

8.3.4 დასაქმება

PAC-ების მცხოვრებთა დაახლოებით 70% თვით-დასაქმებულია, მათ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიწათმოქმედება და მეცხოველეობა. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს თბილისის PAC-ების მცხოვრებნი; აღნიშნულთაგან არცერთი არ მისდევს სოფლის მეურნეობას. ქვემოთ მოცემულია PAC-ებში თვითდასაქმებულთა პროცენტული განაწილება (იხ. ცხრილი 8-7). როგორც ცხრილიდან ჩანს, თვით-დასაქმებულთა განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი სვერში (100%) შომახეთში (80%) და კორბოულში (80%) ფიქსირდება.

ცხრილი 8-7: თვითდასააქმებულთა პროცენტული განაწილება, 2016 წ.

ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები	თვით-დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი
მამკოდა	50
წყალწმინდა	60
მანდაეთი	60
ტყემლოვანა	60
ხიდმაღალა	60
გრიგოლეთ	60
ზედა ბერეთისა	73
უსახელო	73
წყალშავი	73
შომახეთი	80
კორბოული	80
სვერი	100

თვით-დასაქმებულებთან შედარებით მცირეა იმ ინდივიდების წილი, რომლებიც დასაქმებულნი არიან არასასოფლო-სამეურნეო საჯარო ან კერძო სექტორში. კვლევამ აჩვენა, რომ საშუალოდ უფრო მეტი ინდივიდია დასაქმებული საჯარო სექტორში (23%) ვიდრე კერძო სექტორში (16%). თბილისის PAC-ებში კერძო ან საჯარო სექტორში დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებლი ფიქსირდება - დაახლოებით 50% მუშაობს თითოეულ ზემოთ დასახელებულ სექტორში. PAC-ების სამი მეოთხედი ხასიათდება კერძო სექტორში დასაქმების დაბალი მაჩვენებლებით (აქტიური მოსახლოების

დაახლოებით 10%-ზე ნაკლები). ანალოგიურად, PAC-ების მესამედი ხასიათდება საჯარო სექტორში დასაქმების დაბალი მაჩვენებლებით (აქტიური მოსახლეობის დაახლოებით 10%-ზე ნაკლები).

მოსახლეობის 10%-ზე ნაკლები მისდევს მეფუტკრეობას და აღნიშნული საქმიანობა მხოლოდ შემდეგ ადგილებში ფიქსირდება: ხიდმაღალა, გრიგოლეთი, სვერი, მამკოდა, გლდანულა და წყალწმინდა.

8.3.5 შემოსავლები

PAC-ების მცხოვრებთა საშუალო თვიური შემოსავალი დაახლოებოთ 370 ლარს შეადგენს, შემოსავლის თვიური მედიანური საშუალო მაჩვენებელი 225 ლარია. აღნიშნული განსხვავება გამოწვეულია თბილისის PAC-ებში მცხოვრებთა შემოსავლის მაჩვენებლით, რომელიც თვიურად 1000 ლარს შეადგენს. PAC-ების თითქმის მესამედის თვიური შემოსავალი დაახლოებით 175 ლარს შეადგენს (ყველაზე დაბალი შემოსავალი).

PAC-ების ნახევარმა უკანასკნელი 5 წლის მანძილზე შემოსავლების ზრდა დააფიქსირა, ხოლო ერთმა მესამედმა დააფიქსირა კლება.

ქვემოთ მოცემულია საშუალო თვიური შემოსავლები საქმიანობის ტიპის მიხედვით (იხ. სურათი 8-5). აღნიშნული სურათიდან ჩანს, რომ თვით-დასაქმებული გლეხების საშუალო შემოსავალი ყველაზე მცირეა, ხოლო არა-სასოფლო სამეურნეო კერძო სექტორში დასაქმებული ინდივიდების შემოსავალი ყველაზე მაღალი.



სურათი 8-5: საშუალო თვიური შემოსავალი (ლარი/თვე) საქმიანობის ტიპის მიხედვით

ინფორმაცია დახმარებების შესახებ მხოლოდ ორი PAC-ის მიერ იყო მოწოდებული (კორბოული და სვერი), ხოლო სახელმწიფო შემწეობების შესახებ ოთხი PAC-ის მიერ (წყალწმინდა, კორბოული, ხიდმაღალა და გრიგოლეთი). პენსიონრებისათვის პენსიის სახით მიღებული შემოსავალი თვეში 160 ლარს შეადგენს, მაშინ როდესაც

ინდივიდებისათვის, რომლებიც სახელმწიფო დახმარებას იღებენ, შემოსავალი თვეში 168 ლარია.

8.3.6 ინფრასტრუქტურა და კომუნალური მომსახურება

სატრანსპორტო ქსელი

PAC-ების ლიდერების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ადგილობრივი გზების დიდი ნაწილის მდგომარეობა მძიმეა. თუმცა, თბილისის PAC-ების, მანდაეთისა და ტყემლოვანას მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით გზების ხარისხი გაუმჯობესებულია.

ტრანსპორტირების ყველაზე გავრცელებულ ფორმას მიკრო სამარშრუტო ავტობუსები წარმოადგენენ. მხოლოდ მამკოდას მცხოვრებთათვის არის ხელმისაწვდომი ავტობუსები.

შინამეურნეობების მიერ სულ მცირე ერთი მსუბუქი ავტომობილის ფლობის პროპორცია განსხვავებულია PAC-ებს შორის. თბილისსა და მანდაეთში შინამეურნეობების ნახევარი ფლობს სულ მცირე ერთ მსუბუქ ავტომობილს. ზედა ბერეთისაში, უსახელოსა და წყალშავში შინამეურნეობების მხოლოდ 5% ფლობს მსუბუქ ავტომობილს. სამი PAC-ის გარდა (შომახეთი, კორბოული და სვერი) მანქანის მფლობელთა რიცხობრივი მაჩვენებელი უკანასკნელი წლების განმავლობაში გაუმჯობესდა.

კავშირგაბმულობა

PAC-ებისთვის ხელმისაწვდომია გაზეთები და ეროვნული სატელევიზიო არხები. იმერვიზიის ტელევიზია ხელმისავდომია მანდაეთის, ტყემლოვანას, ზედა ბერეთისას, უსახელოსა და წყალშავის თემებისათვის. ოზურგეთის ტელევიზია ხელმისაწვდომია ხიდმაღალას, გრიგოლეთისა და წყალწმინდას თემებისათვის.

ინტერნეტი ხელმისაწვდომია PAC-ების ნახევრის შინამეურნეობების ნაწილისათვის (იხ. სურათი 8-6).

კომუნალური მომსახურება

სხვადასხვა PAC-ისთვის კომუნალური მომსახურების მიღება (მაგალითად ელექტროენერგია, გაზი და სასმელი წყალი) და მიღებული მომსახურების ხარისხი განსხვავებულია. ქვემოთ მოცემულია ის PAC-ები, რომელთათვისაც ხელმისაწვდომია სხვადასხვა კომუნალური მომსახურება (იხ. სურათი 8-6). როგორც სურათიდან ჩანს, PAC-ების არცერთ სახლს არ აქვს წვდომა ცენტრალურ გათბობაზე, თუმცა სასმელი წყალი, ელექტროენერგია და მობილური ტელეფონის დაფარვა ხელმისაწვდომია ყველასათვის. ცხელი წყალი ხელმისაწვდომია მხოლოდ მანდაეთისა და და ტყემლოვანას თემებისათის.



სურათი 8-6: სახლის პირობებში კომუნალურ მომსახურებაზე წვდომა - ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების პროცენტული განაწილება, 2016 წ.

შენიშვნა: ბალონის გაზი არ არის წარმოდგენილი აღნიშნულ სურათძე, რადგან მისი შეძენა ხორციელდება სახლის გარეთ. ბალონის გაზი ხელმისაწვდომია PAC-ების 66%-სავის სახლიდან 2-2,5 კმ-ის მანძილზე.

კომუნალური მომსახურებების ხარისხის კუთხით, ითვლება, რომ არსებული ინფრასტრუქტურიდან ყველა კარგ მდგომარეობაშია წყალმომარაგების (არა-სასმელი) და ინტერნეტ კავშირის გარდა. სასმელი წყალი და მობილური კავშირის ხარისხი შეფასებულია როგორც „მისაღები“.

ქვემოთ მოცემულია იმ PAC-ების პროცენტული მაჩვენებელი, სადაც დაფიქსირდა კომუნალური მომსახურების მიღების დროს არსებული შეფერხებები (იხ. სურათი 8-7). ქვემოთაა მოცემული, ყველაზე ხშირად შეფერხებები ეხება წყალმომარაგებას (როგორც სასმელს, ასევე არა-სასმელს) და ელექტროენერგიას. ინტერნეტ კავშირის მოწოდებაში შეფერხება აღნიშნა PAC-ების 25%-მა.



სურათი 8-7: ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების პროცენტული განაწილება, სადაც აღინიშნა კომუნალური მომსახურების მიღების შეფერხებები

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აღინიშნება კომუნალური მომსახურების მიღების ხარისიხის გაუმჯობესება, თუმცა ერთამენთისაგან განსხვავებულია მიღების არეალი და ტიპი. ზოგიერთი PAC-ისთვის აღნიშნულის კუთხით გაუმჯობესება არ ფიქსირდება (მაგალითად, მანდაეთსა და ტყემლოვანაში), მაშინ როდესაც სხვა დასახლებებში დაფიქსირდა ერთი, ოთხი ან ხუთი ტიპის გაუმჯობესება. აღნიშნული გაუმჯობესება ძირითადად ეხება სასმელ წყალს, ელექტორენერგიასა და ინტერტ კავშირს.

სოციალური დაწესებულებები

სოციალური დაწესებულებები მოიცავს ისეთი დაწესებულებებს, როგორებიცაა მაგალითად სკოლა, კლინიკა, საავადმყოფო, სარეკრეაციო/გასართობი და ღვთისმსახურების დაწესებულებები (ეკლესია/მეჩეთი). ქვემოთ მოცემულიააღნიშნული დაწესებულებების პროცენტული განაწილება სოფლის დონეზე (იხ. სურათი 8-8). ღვთისმსახურების ადგილები და ბიბლიოთეკები ხელმისაწვდომია ყველა PAC-ში, მაშინ როდესაც ფოსტა, საკვები პროდუქტების და ზოგადი ტიპის მაღაზიები, ასევე კულტურის სახლები არ ფიქსირდება თითქმის არც ერთ დასახლებაში არ არსებობს.



სურათი 8-8: ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების პროცენტული განაწილება, სადაც სოციალური დაწესებულებები ხელმისაწვდომია სოფლის დონეზე, 2016 წ.

შენიშვნა: სარეკრეაციო ზონა მოიცავს სპორტულ დაწესებულებებს, ხოლო კლინიკები მოიცავს საოპერაციოებს.

ქვემოთ მოცემულია იმ სოციალური დაწესებულებების პროცენტული განაწილება, რომლებიც ხელმისაწვდომია სოფელში ან სოფლის მახლობლად (იხ. სურათი 8-9). დაწესებულებების უმრავლესობა ხელმისაწდომია PAC-ებიდან 5კმ-ს მანძილზე. დაწესებულებები, რომლებიც ყველაზე ნაკლებად არის ხელმისწვდომი მოიცავს კულტურის სახლს (14%), დაწყებით სკოლას (40%), საავადმყოფოს (50%) და პოლიციას (60%). სხვა ყველა დაწესებულება ხელმისაწვდომია PAC-ების 70%-ზე მეტისათვის.



სურათი 8-9: ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების პროცენტული განაწილება, რომელთათვისაც სოციალური დაწესებულებები ხელმისაწვდომია სოფელში ან სოფლის მახლობლად, 2016 წ.

PAC-ების ლიდერები ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებთან ხელმისაწვდომობას ახასიათებენ, როგორც „კარგს“ გარდა ფოსტის, ზოგადი ტიპის მაღაზიების, საავადმყოფოსა და პოლიციისა. ჩამოთვლილი დაწესებულებების ხელმისაწვდომობა შეფასებულია, როგორც „მისაღები“.

ქვემოთ მოცემულია სოციალური დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც აგებულია უკანასკნელი 5 წლის მანძილზე (იხ. სურათი 8-10). როგორც სურათიდან ჩანს, უკანაკსნელ წლებში აგებული დაწესებულებების უმრავლესობა არის ან ღვთისმსახურების ადგილები ან საშუალო სკოლა (9 ახალი შენობა). სურათზე ასევე ნაჩვენებია, რომ არ აშენებულა ახალი კულტურის სახლები; აშენდა მხოლოდ ორი საკვები პროდუქტების სავაჭრო პუნქი. ახალი სკოლების დიდი რაოდენობა ასახავს სკოლების განახლების სახელმწიფო პროგრამას. 2008-2011 წლებში ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მიერ საჩხერის ყველა საშუალო სკოლა ჩანაცვლდა ახალი შენობით. ამას გარდა, განათლების სამინისტრო უკანასკნელი 5-6 წლის მანძილზე ახორციელებს სკოლის შენობების განახლების/ჩანაცვლების პროგრამას.



სურათი 8-10: ახლად აშენებული სოციალური დაწესებულებების რაოდენობა, 2016 წ.

8.3.7 ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების პრობლემები

ქვემოთ მოცემულია ყველაზე ფართოდ გავრცელებულ პრობლემები, რომლებიც გავლენას ახდენს დასახლებების მცხოვრებებზე (იხ. სურათი 8-11). ყველა PAC-ის პრობლემას წარმოადგენს უმუშევრობა. დასახლებებისთვის პრობლემატურია მიგრაციაც, გარდა თბილისისა, სადაც ფიქსირდება მიგრაციის საპირისპირო პროცესი (იხ. ქვეთავი 8.3.2). PAC-ების დაახლოებით ნახევარი თვლის, რომ მათთვის პრობლებას წარმოადგენს დაბალი ხარისხის სოციალური დანიშნულების დაწესებულებები და საშუალებები, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურა.



სურათი 8-11: ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების პრობლემები, 2016 წ.

8.4 პროექტის ტერიტორიაზე არსებული სენსიტიური რეცეპტორები

2015 წლის ივლისში სექციური ცვლილების პროექტისთვის ჩატარებული საველე სამუშაოების დროს აღიწერა პოტენციურად სენსიტიური სოციალური რეცეპტორები. ზემოთ აღნიშნულ მონაცემებს დაემატა 2016 წლის თებერვალში ჩატარებული საველე სამუშაოების დროს მისასვლელი გზების მიმდებარედ არსებული სოციალური რეცეპტორების კვლევაც.

ქვემოთ მოცემულია ის რეცეპტორები (იხ. ცხრილი 8-8), რომლებიც შესაძლოა მოექცეს მილსადენის სამუშაოების ზემოქმედების ქვეშ, მაგ.: სატრანსპორტო საშუალებების გადადგილება, მტვერი, ხმაური ან ვიბრაცია. მათი ადგილმდებარეობა იდენტიფიცირებულია დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილების პროექტის უახლოესი კილომეტრნიშნულის მიხედვით და წარმოდგენილია დანართ A-ში მოცემულ რუკებზე. მისასვლელი გზები დანომრილია უახლოესი კილომეტრნიშნულის მიხედვით, სადაც ის უერთდება სამშენებლო დერეფანს. აღნიშნული რეცეპტორებისათვის ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები აღწერილია მე-10 თავში.

ცხრილი 8-8: სოციალური რეცეპტორები

მონაკვეთი ან მისასვლელი გზა	შეზღუდვა
RP-001a კმ51.0	მიწის/ქვის სახლი და მცირე მეურნეობა, რომელიც მდებარეობს შემოთავაზებული მარშრუტიდან 40მ მანძილზე. აღნიშნული შენობა არის მყიფე დაბალი ხარისხის ხმის იზოლაციით.
RR-001 კმ0	ორი სახლი RR-001-ის მიერთების უბნიდან და AR63-დან 70მ მანძილზე.
RR-001 კმ2.0	ორი საზაფხულო აგარაკი შემოთავაზებული მარშრუტიდან 30მ მანძილზე. აღნიშნული სახლები დაახლოებით 160 სახლისგან შემდგარი სახლების ჯგუფის ნაწილია, რომელიც ეკუთვნის ქარხანა „ცენტროლითს“. ზოგიერთ სახლში მუდმივად ცხოვრობენ, ხოლო ზოგიერთი საცხოვრებლად მხოლოდ ზაფხულის განმავლობაში გამოიყენება.
AR63	მისასვლელი გზის გასწვრივ მდებარეობს სახლები, ბეტონის ქარხანა, სამშენებლო კომპანია, ქვის საამქრო, საკვების გადამამუშავებელი საწარმო, ფერმა და სასაფლაო.
AR63a	სოფელი მამკოდა; უახლოესი სახლი მისასვლელი გზიდან 290მ მანძლზე მდებარეობს.
AR63a და AR64.5	საზაფხულო აგარაკების ბლოკი (მამკოდას მარჯვნივ) გზებიდან 220მ მანძილზე.
AR65	გზა (ჭავჭავაძის ქუჩა), რომელიც გადის სოფელ გლდანში და კვეთს ბარათაშვილის, სამეგრელოსა და სვანეთის ქუჩებს. საცხოვრებელი სახლები არ დაფიქსირებული სოციალური დანიშნულების დაწესებულებები.

მონაკვეთი ან მისასვლელი გზა	შეზღუდვა
AR66	კერძო სახლები ძირითადი გზის სამხრეთ-აღმოსავლეთით 190მ მანძილზე.
RR-001, კმ3.0	წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია გორაკის წვერზე შემოთავაზებული მარშრუტიდან 160მ მანძილზე.
RR-001 კმ5.2 და AR67	მონასტერი შემოთავაზებული მარშრუტიდან და მისასვლელი გზიდან მანძილზე.
RR-001 კმ6.8 და AR69a	ფერმა (შენობა), გზიდან დაახლოებით 60მ, რომელიც გამოყოფილია ხშირი ტყით.
RR-001 კმ6.8 და AR69a	 ჯვრის მონასტრის გზიდან დასავლეთით (200მ მანძილზე) წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია და ჯვრის სამონასტრო კომპლექსთან არსებული საცხოვრებელი სახლები.
AR 69	სამშენებლო დერეფანთან მისასვლელი არის ჯვრის მონასტერთან მიმავალი მოასფალტებული გზა. ჯვრის მონასტერს UNESCO-ს მიერ მინიჭებული აქვს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი და წარმოადგენ ს ძირითად კულტურულ და ტურისტულ ღირსშესანიშნაობას. გზა გამოიყენება ტურისტების

მონაკვეთი ან მისასვლელი გზა	შეზღუდვა
	მიერ, რომლებიც სტუმრობენ მონასტერს, გზაზე მოძრავ ტრანსპორტს შორის არის ავტობუსებიც.
AR - BVS (პოტენციური ნავთობისგან დაცლის უბანი)	გზის გასწვრივ მდებარეობს რესტორანი, კაფე და დახურული რესტორანი, რომელშიც ცხოვრობენ იძულებით გადაადგილებული პირები (იხილეთ ფოტო).
AR - PSR1	ეს შემოთავაზებული მისასვლელი გზა მდებარეობს არსებული გზის 20 კილომეტრიანი მონაკვეთის გასწვრივ და კვეთს რამდენიმე სოფელს, დაუსახლებელ ტერიტორიას და გამოიყენება სამარშრუტო ავტობუსების მიერ. კორბოულში გამავალი გზის მონაკვეთის სიგრძე დაახლოებით 5 კილომეტრია. გზა ახლახანს მოასფალტდა და მისი სიგანე უმეტესად 5-6 მეტრია. სახლებსა და გზას შორის არსებული მანძილი დაახლოებით 5-დან 50 მეტრამდე მერყეობს. აღნიშნული მონაკვეთის მთელ სიგრძეზე გადის საჰაერო გაზის მილი. სპეციფიკურ რეცეპტორებს შორისაა: • გზიდან დაახლოებით 10მ მანძილზე მდებარე კორბულის #1 სკოლა • გზიდან დაახლოებით 15მ მანძილზე მდებარე მშენებარე სკოლის დამხმარე შენობები • გზიდან დაახლოებით 20მ მანძილზე მდებარე კორბულის #2 სკოლა • გზის ორივე მხარეს მდებარეობს ღია სავაჭრო პუნქტი, რამდენიმე პატარა მაღაზია, მცირე საწარმოი და ავტობუსის გაჩერება. შომახეთში მიემართება მოასფალტებული გზა, რომლის სიგანეც დაახლოებით 8 მეტრია. შომახეთის სკოლა გზიდან დაახლოებით 10 მეტრში მდებარეობს. ზედა ბერეთისაში გზა მიემართება სოფლის გარეუბნის ჩრდილოეთით და გვერდს უვლის ძირითად დასახლებულ ტერიტორიას. სოფელ უსახელოში, გზა დასახლებული პუნქტიდან დაახლოებით 1 კილომეტრით არის დაშორებული, სახლები 6 მეტრის სიგანის მქონე მოასფალტებულ გზასთან ძალიან ახლოს მდებარეობს. უსახელოს სკოლა გზიდან დაახლოებით 20მ მანძილზე მდებარეობს. გზა კვეთს ზედა უსახელოს/წითელი ეკლესიის დასახლებას და მიემართება სოფლის სასაფლაოდან 50მ მანძილზე.

მონაკვეთი ან მისასვლელი გზა	შეზღუდვა
AR223	აღნიშნული გზა გადის სოფელ მანდაეთის ცენტრზე. სახლები, მაღაზიები, სკოლა და გამგეობა, ასევე მშენებარე საბავშვო ბაღი, მდებარეობს გზიდან 20მ მანძილზე, (იხილეთ ფოტო).
AR225	სახლები მისასვლელი გზიდან 80მ მანძილზე.
AR373	გზის მიმდებარედ მდებარეობს მაღაზია, ფერმა და სახლები